საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–10 კმ. ტელ: +(995 32) 274 96 49; ელ.ფოსტა: nbe@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

**A15057421-004/002**
31.07.2015

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას

მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №61

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ივლისის №35267-15 ბრძანება იხილეთ თანდართულ დოკუმენტში.

გთხოვთ, მითითებული ბრძანება შესასრულებლად გადაუგზავნოთ ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ არსებულ პირებს - პირებს რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა".

დანართი: 1. . თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.07.2015 წლის №3/5267-15 ბრძანების ასლი (20 ფურცლად)

პატივისცემით,

თბილისის სააღსრულებო ბიუროს

აღმასრულებელი მარია მურადოვა

მარია მურადოვა

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

KA010105829619915

№5987

29 / ივლისი / 2015 წ.

სსიპ - „აღსრულების ეროვნული ბიუროს"
თავმჯდომარეს, ბატონ იოსებ ბაღათურიას

ბატონო იოსებ,

გაცნობებთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 1267 (1999) რეზოლუციის შესაბამისად შექმნილმა სანქციების კომიტეტმა „ალ-ქაიდასთან" დაკავშირებულ ტერორისტ პირთა სიას დაამატა 4 ფიზიკური პირი და იმავე სიიდან ამოიღო 7 ფიზიკური პირი, ხოლო გაეროს უშიშროების საბჭოს 1988 (2011) რეზოლუციის შესაბამისად შექმნილმა სანქციების კომიტეტმა „თალიბანთან" დაკავშირებულ პირთა სიას დაამატა ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიამ (შემდგომში – კომისია) შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით" დადგენილი წესის თანახმად, ყადაღა დასდებოდა სიებში შეყვანილი პირების ქონებას და ყადაღისგან გათავისუფლებულიყო სიებიდან ამოღებული პირების ქონება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცა ბრძანება, რომელსაც, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, გიგზავნით აღსასრულებლად.

აქვე გთხოვთ, იხელმძღვანელოთ კომისიის პირველ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოთ „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ზედამხედველ ორგანოებს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე

გოჩა ლორთქიფანიძე

თბილისის საქალაქო სასამართლო
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6

საქმე №3/5267-15 — 21.07.2015 წელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ივლისის ბრძანება.

მარიამ ჩუბინიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე

საქართველოს იუსტიციის სამინ
ადმინისტრაციის დეპარტამენტ
საქმისწარმოების სამმართველო
23 07 15
№ 01/12962

საქმე №3/5267-15

1895755700091

www.info.court.ge

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

20 ივლისი, 2015 წელი

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ლეილა მამულაშვილი

* * *

შუამდგომლობის წარმომდგენი: საქართველოს იუსტიციის მინისტრი მოადგილე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარე;

მოთხოვნა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში დამატებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებაზე ყადაღის დადება; სიებიდან ამოღებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება;

შუამდგომლობის განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{30}$-ე, $21^{31}$-ე, $21^{34}$-ე მუხლების, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-$13^{2}$ მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის N487 დადგენილების მე-4 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, , საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადმოაგზავნა ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე შექმნილი

საქციების კომიტეტების მიერ განსაზღვრულ პირთა სიებში შეტანილი ცვლილებების შესახებ და მოითხოვა: წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, განსაზღვრულ პირთა სიაში ჩამატებულ ფიზიკურ და იურიდიული პირების ქონებას, ხოლო ყადაღისაგან განთავისუფლდეს ფიზიკურ პირთა სიიდან ამოღებული პირების ქონებას.

მითითებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაცია „ალ-ქაიდასთან" დაკავშირებულ ფიზიკურ პირთა სიას დაემატა 4 პირი, ამავე სიიდან ამოღებული იქნა 7 პირი, ხოლო „თალიბანთან" დაკავშირებულ პირთა სიას დაემატა ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი.

სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის $21^{30}$-ე მუხლის თანახმად, ბრძანებას ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციებით (შემდგომ – გაეროს რეზოლუციები) განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (ამ თავის მიზნებისთვის შემდგომ – კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
შენიშვნა: ამ თავის მიზნებისთვის ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, ან ამ შემოსავლით შეძენილი ქონება, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად ფლობენ, სარგებლობენ ან განკარგავენ ამ თავით განსაზღვრული პირები.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლით, რეგლამენტირებულია, რომ ამ კანონის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა

ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს სამისოდ უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობენ ადგილობრივ და სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საჭირო ინფორმაციის მიღების, გაცვლის, სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილებების აღსრულების სტადიებზე, ხოლო მე-$13^{1}$ მუხლის პირველი პუნქტის დანაწესის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია (შემდგომ – კომისია) არის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციებით (შემდგომ – გაეროს რეზოლუციები) განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებას, რათა ამ პირებმა არ განახორციელონ ტერორისტული ან სხვა უკანონო საქმიანობის დაფინანსება ან, სხვა ფორმით

მხარდაჭერა.

ამავე კანონის მე-$13^{2}$ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე. კომისია უფლებამოსილია უცხო ქვეყნის ან/და საქართველოს სათანადო ორგანოების მიმართვის საფუძველზე შეიმუშაოს ტერორიზმთან დაკავშირებული პირების სია და მასში მითითებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების ან ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $VII^{3}$ თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების წესი ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

$21^{30}$ მუხლის თანახმად, ბრძანებას ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. მოცემულ შემთხვევაში, ქონებად მოიაზრება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, ან ამ შემოსავლით შეძენილი ქონება, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად ფლობენ, სარგებლობენ ან განკარგავენ ამ თავით განსაზღვრული პირები.

$21^{31}$ მუხლის თანახმად, შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს ტერორიზმთან დაკავშირებული ან გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირის და მისი ქონების შესახებ მონაცემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

$21^{32}$ მუხლის თანახმად, მოსამართლე გადაწყვეტილებას კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში, ტერორიზმთან დაკავშირებული ან გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირისათვის შეუტყობინებლად, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე. კომისიის შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე მხედველობაში იღებს ყადაღას დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს. თუ კომისიის შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ მასში მითითებული პირი არის გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირი ან/და არის ტერორისტი, აფინანსებს ტერორიზმს ან რაიმე ფორმით არის ტერორიზმთან დაკავშირებული, იგი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული პირის ქონებაზე ან მის ნაწილზე ყადაღის დადების თაობაზე. პირის ქონებაზე ყადაღის დადება ხდება უვადოდ, ვიდრე არ მოხდება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმება. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ცალად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება კომისიას, ხოლო მესამე – შუამდგომლობაში მითითებულ პირს. თუ აღნიშნული პირისთვის ბრძანების გადაცემა ვერ ხერხდება, იგი ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით

დადგენილი წესით და მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

$21^{34}$ მუხლის თანახმად, კომისიას უფლება აქვს, ბრძანების გამომცემ სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით პირის ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე შემდეგ შემთხვევებში: ა) გაეროს რეზოლუციებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პირი ამოღებულ იქნა გაეროს რეზოლუციიდან ან ამ პირის მიმართ სანქციები გაუქმდა; ბ) კომისიის მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პირი, რომლის ქონებასაც დაედო ყადაღა, არ წარმოადგენდა გაეროს რეზოლუციებში მითითებულ პირს; გ) კომისიის მიერ პირი ამოღებულ იქნა ტერორიზმთან დაკავშირებული პირების სიიდან; დ) გარკვეული გარემოებების გამო მიზანშეწონილი აღარ არის პირის ქონებაზე ყადაღის მოქმედება. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შუამდგომლობას განიხილავს თავდაპირველი ბრძანების გამომცემი სასამართლო ამ თავით დადგენილი წესით. მოსამართლე ბრძანებით აუქმებს პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას.

სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ 1999 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის საფუძველზე უშიშროების საბჭოს 1267 რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა „ალ-ქაიდასა" და „თალიბანის" სანქციების კომიტეტი, რომლის მიზანი იყო ეფექტური მექანიზმის უზრუნველყოფა იმ ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების დაყადაღებისათვის, რომელსაც ფლობენ ან აკონტროლებენ „ალ-ქაიდა", „თალიბანი" ან ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებული ფიზიკური თუ იურიდიული პირები. აღნიშნულ პირთა სია განისაზღვრება სწორედ ხსენებული კომიტეტის მიერ. გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან - არ გახადონ ხელმისაწვდომი ასეთი ქონება პირდაპირ ან არაპირდაპირ სიაში განსაზღვრულ პირთათვის.

სასამართლო დამატებით მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლო ბრძანებას გამოქვეყნებს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდა გამომდინარე, წარმოდგენილი მასალების და აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს - ყადაღა უნდა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში დამატებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებას, ამასთან, ყადაღისაგან უნდა გათავისუფლდეს სიებიდან ამოღებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონება.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში დამატებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებას.

2.1. ფიზიკური პირები, რომლებიც 1267 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად, დაემატნენ იმ ფიზიკურ პირთა სიას, რომლებიც არიან ორგანიზაცია „ალ-ქაიდას" წევრები ან სხვაგვარად არიან მასთან დაკავშირებულნი

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტი სახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომრები | მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| *სახელები:* ა) ალიასხაბ (ALIASKHAB) ბ) ალიბულატოვიჩ (ALIBULATOVICH) გ) კებეკოვ (KEBEKOV)<br><br>*დაბ. თარიღი:* 1 იანვარი 1972<br><br>*დაბ. ადგილი:* სოფელი ტელეტლი, შამილსკის რაიონი, დაღესტანის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია (Teletl Village, Shamilskiy District, Republic of Dagestan, Russian Federation)<br><br>*ეროვნება/მოქალაქეობა:* რუსეთის (Russian) | ა) შეიხ აბუ მუჰამმად (Sheikh Abu Muhammad); ბ) ალი აბუ მუჰამმად (Ali Abu Muhammad); გ) აბუ მუჰამმად ალი ალ-დაგესტანი (Abu Muhammad Ali Al-Dagestani). | *პასპორტის ნომერი:* ა) რუსეთის საზღვარგარეთ მოგზაურობის პასპორტის ნომერი 628605523. გამოცემულია 2006 წლის 4 ივლისს, რუსეთის ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის მიერ (მოქმედების ვადა 2016 წლის 16 ივლისამდე); ბ) რუსეთის ეროვნული პასპორტის ნომერი 8203883123, გამოცემულია 2005 წლის 16 ივლისს, გამოცემულია შინაგან საქმეთა დეპარტამენტის მიერ, კიროვსკის რაიონი, დაღესტანის რესპუბლიკა, | შოსე აეროპორტა 5 აპ. 7 მახაჭკალა, დაღესტანის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია (Shosse Aeroporta, 5 Ap. 7 Makhachkala, Republic of Dagestan, Russian Federation). | 23.03.2015 | ფიზიკური აღწერილობა: თვალის ფერი: ყავისფერი; თმის ფერი: ნაცრისფერი; სიმაღლე: 170-175სმ; აღნაგობა: ათლეტური, ოვალური სახე წვერით. ეთნიკური კუთვნილება: ავარი მამის სახელი: ალიბულატ კებეკოვიჩ კებეკოვ (Alibulat Kebekovich Kebekov), დაბადებული 1927 წელს. რუსეთის ფედერაციული სამსახურების მიერ იძებნება ტერორისტული აქტების ჩადენისთვის. ფოტო ხელმისაწვდომი და ინტერპოლ- |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რუსეთის ფედერაცია. (მოქმედების ვადა 2017 წლის 1 იანვრამდე). | | | გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური [illegible] ფარგლებში. |
| 2 | სახელები: ა) მაულანა (MAULANA) ბ) ფაზლულლაჰ (FAZLULLAH) დაბ. თარიღი: 1974 დაბ. ადგილი: სოფელი კუზა ბანდაი, სვატის დაბლობი, კიბერ პახტუნხავას პროვინცია, პაკისტანი (Kuza Bandai village, Swat Valley, Khyber Pakhtunkhawa Province, Pakistan) ეროვნება/მოქალაქეობა: | ა) მულლაჰ ფაზლულლაჰ (Mullah Fazlullah); ბ) ფაზალ ჰაიატ (Fazal Hayat); გ) მულლაჰ რადიო (Mullah Radio). | | ავღანეთი/პაკისტანის სასაზღვრო რეგიონი (Afghanistan/Pakistan border region) | 17.04.2015 | Tehrik-e Taliban Pakistan (TTP) (QDe.132) -ის მეთაური 2013 წლის 7 ნოემბრიდან. ხელმძღვანელობდა TTP-ს პაკისტანის ჩრდილო დასავლეთ სვატის დაბლობში 2007-2009 წლებში.. |
| 3 | სახელები: ა) ალი (ALI); ბ) ბენ ტაჰერ (BEN TAHER); გ) ბენ ფალეჰ (BEN FALEH); დ) ოუნი ჰარზი (OUNI HARZI). დაბ. თარიღი: 1986 9 მარტი დაბ. ადგილი: არიანა ტუნისი (Ariana, Tunisia). ეროვნება/მოქალაქეობა: ტუნისელი (Tunisian). | ა) აბოუ ზოუბეირ (Abou Zoubair). | პასპორტის ნომერი: ტუნისური პასპორტის ნომერი W342058, გამოცემულია 2011 წლის 14 მარტს (მოქმედების ვადა 2016 წლის 13 მარტამდე); ტუნისის ეროვნული საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი: 08705184, გამოცემულია 2011 წლის 24 თებერვალს. | ა) 18 მედიტერანეული ქუჩა, არიანა, ტუნისი; (18 Mediterranean Street, Ariana, Tunisia) ბ) სირიის არაბული რესპუბლიკა (2015 წლის მდგომარეობით) (Syrian Arab Republic (located in as at Mar. 2015)) გ) ერაყი (შესაძლო ალტერნატიული ადგილსამყოფელი, 2015 წლის მარტის მდგომარეობით) (Iraq (possible alternative location | 10.04.2015 | ფიზიკური აღწერილობა: თვალის ფერი: ყავისფერი; სიმაღლე: 171სმ. ფოტო ხელმისაწვდომია ინტერპოლისა და გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალურ ნოტაში შესატანად. წარსული საქმიანობა: სავაჭრო აგენტი. Ansar al-Shari'a in Tunisia (QDe.143)-ის წევრი, აქტიური ყოფილი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | as at Mar. 2015) )დ) ლიბია (ადრინდელი ადგილსამყოფელი ). | | ტერორისტი მებრძოლების რეკრუტირებაში და იარაღით უკანონო ვაჭრობაში. დაკავებული და დასჯილი იყო 30 თვიანი თავისუფლების აღკვეთით ტერორისტული აქტების დაგეგმვისთვის ტუნისში 2005 წელს. დაგეგმა და განახორციელა თავდასხმა ამერიკის საკონსულოზე ლიბიის ქალაქ ბენღაზიში 2012 წლის სექტემბერში. დაკავების ორდერი გამოცემულია ტუნისის ეროვნული გვარდიის მიერ (2015 წლის მარტში). მამის სახელია ტაჰერ ოუნი ჰარზი (Taher Ouni Harzi, დედის სახელია ბორკანა ბედაირია (Borkana Bedairia). |
| 4 | _სახელები:_<br>ა) ტარაკ (TARAK)<br>ბ) ბენ ტაჰერ (BEN | აბუ ომარ ალ-ტოუნისი (Abou Omar Al Tounisi); | ტუნისური პასპორტის ნომერი | 18 მედიტერანეულის ქუჩა, არიანა, | 11.02.2015 | ფიზიკური აღწერილობა: თვალის ფერი: |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| TAHER)<br>გ) ბენ ფალეჰ (BEN FALEH)<br>დ) ოუნი ჰარზი (OUNI HARZI)<br>დაბ. თარიღი:<br>1982 წლის 3 მაისი<br>დაბ. ადგილი:<br>ტუნისი, ტუნისი (Tunis, Tunisia)<br>ეროვნება/მოქალაქეობა:<br>ტუნისელი (Tunisian) | | Z050399, გაცემული 2003 წლის 9 დეკემბერს, (ვადა გაუვიდა 2008 წლის 8 დეკემბერს); ტუნისური ეროვნული საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი 04711809, გამოცემულია 2003 წლის 13 ნოემბერს, | ტუნისი; (18 Mediterranean Street, Arjana, Tunisia) ბ) სირიის არაბული რესპუბლიკა (2015 წლის მდგომარეობით) (Syrian Arab Republic (located in as at Mar. 2015)) გ) ერაყი (შესაძლო ალტერნატიული ადგილსამყოფელი, 2015 წლის მარტის მდგომარეობით) (Iraq (possible alternative location as at Mar. 2015) )დ) ლიბია (ადრინდელი ადგილსამყოფელი). | | ყავისფერი; სიმაღლე: 172 სმ. ფოტო ხელმისაწვდომია ინტერპოლის და გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალურ ნოტაში შესატანად. წარსული საქმიანობა: მუშ. Ansar al-Shari'a in Tunisia (QDe.143)-ის წევრი, აქტიური უცხოელი ტერორისტი მებრძოლების რეკრუტინგში და იარაღით უკანონო ვაჭრობაში. Al Qaida in Iraq (QDe.115)-ის აქტიური და საშიში წევრი 2004 წელში, ასევე აქტიურია Ansar al-Shari'a in Tunisia (QDe.143)-ის წევრების დახმარებასა და თავშესაფრის მიცემაში სირიაში. დაუსწრებლად მიესაჯა 24 წლიანი თავისუფლების აღკვეთა 2007 წლის 30 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ოქტომბერს ტერორისტული საქმიანობისთვის ტუნისის სამხედრო სასამართლოს მიერ. მამის სახელია ტაჰერ ოუნი ჰარზი (Taher Ouni Harzi), დედის სახელია ბორკანა ბედაირია (Borkana Bedairia). |

2.2. იურიდიული პირი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა დაემატოს იმ იურიდიულ პირთა სიას, რომლებიც არიან ორგანიზაცია „თალიბანთან" დაკავშირებულნი;

| N | ორგანიზაციის დასახელება | დასახელების სხვა ვარიანტები | მისამართი(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | *სახელი:* HAJI BASIR AND ZARJMIL COMPANY HAWALA | ა) Haji Bashir and Zarjmil Hawala Company; ბ) Haji Abdul Basir and Zar Jameel Hawala; გ) Haji Basir Hawala; დ) Haji Baseer Hawala ე) Haji Abdul Basir Exchange Shop; ვ) Haji Basir and Zarjamil Currency Exchange; ზ) Haji Zar Jamil, Haji Abdul Baseer Money Changer | ა) Branch Office 1: Sanatan (variant Sanatin) Bazaar, Sanatan Bazaar Street, near Trench (variant Tranch) Road, Chaman, Baluchistan Province, Pakistan; ბ) Branch Office 2: Quetta, Pakistan; გ) Branch Office 3: Lahore, Pakistan; დ) Branch Office 4: Peshawar, Pakistan ; | 27.03.2015 | ფინანსური პროვაიდერი, რომელიც თალიბანის ლიდერების მიერ გამოყენებულია თალიბანის მეთაურებისთვის თანხის გადასარიცხად რეგიონში. მფლობელი აბდულ ბასირ ნოორზაი (Abdul Basir Noorzai (TAi.173)). |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ე) Branch Office 5: Karachi, Pakistan; ვ) Branch Office 6: Islamabad, Pakistan; ზ) Branch Office 7: Kandahar Province, Afghanistan; თ) Branch Office 8: Herat Province, Afghanistan; ი) Branch Office 9: Helmand Province, Afghanistan; კ) Branch Office 10: Dubai, United Arab Emirates; ლ) Branch Office 11: Iran. | | |

2.3. ფიზიკური პირი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა დაემატოს იმ ფიზიკურ პირთა სიას, რომლებიც არიან ორგანიზაცია „თალიბანთან" დაკავშირებულნი;

| N | პირადი ინფორმაცია (სახელ(ები), დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ები), ზედმეტი სახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომრები | მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | *სახელები:* ა) აბდულ ბასირ (ABDUL BASIR) ბ) ნოორზაი (NOORZAI) გ) დ) *დაბ. თარიღი:* ა) 1965 ბ) 1960 გ) 1963 *დაბ. ადგილი:* ბალუჩისტანის პროვინცია, პაკისტანი (Baluchistan Province, Pakistan ) | ა) ჰაჯი აბდულ ბასირ (Haji Abdul Basir); ბ) ჰაჯი აბდ ალ ბასირ (Haji 'Abd Al-Basir) გ) ჰაჯი ბასირ ნოორზაი (Haji Basir Noorzai) დ) აბდულ ბასეერ ( Abdul Baseer) ე) აბდულ ბასირ (Abdul Basir). | *პასპორტის ნომერი:* პაკისტანის პასპორტის ნომერი AA3829182 ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომერი: პაკისტანის ეროვნული | ჩამან, ბალუჩისტანის პროვინცია, პაკისტანი (Chaman, Baluchistan Province, Pakistan ). | 27.03.2015 | Haji Basir and Zarjmil Company Hawala (TAe.014)-ის მფლობელი, რომელიც რეგიონში თალიბანს აწვდის ფინანსურ მომსახურებას. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნება/მოქალაქეობა: ავღანელი (Afghan) | | საიდენტიფიკ აციო ნომერი 5420124679187 | | | |

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 თებერვლის ბრძანება (საქმე №3/731-12) იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო შემდეგ ფიზიკურ პირთა ქონებას.

3.1. ფიზიკური პირები, რომლებიც ალ-ქაიდას სანქციების კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე აღარ არიან განსაზღვრული იმ ფიზიკურ პირთა სიაში, რომლებიც არიან ორგანიზაცია ალ-ქაიდას წევრები ან სხვაგვარად არიან მასთან დაკავშირებულნი;

| N | პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა) | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტი სახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი ნომრები | მისამართ(ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 57 | სახელები: | | პასპორტის მონაცემები: | იტალია | 03.09.02 | დედის სახელი – რიმ ალ-აშკარი (Reem Al-Askari). |
| | 1. რიადი (RIADH) | | ტუნისის პასპორტი №L276046; გაცემის თარიღი: 01.07.96; მოქმედების ვადა: 30.06.01 | | (ცვლილებებ ი | |
| | 2. ბენ ბელკასემი (BEN BELKASSEM) | | | | 20.12.05 | Turisian Combatant Group-ის წევრი. |
| | 3. ბენ მოჰამედი (BEN MOHAMED) | | პირადი ნომერი: | | 31.0[illegible].06 | |
| | 4. ალ-ჯელასი (AL-JELASSI) | | | | 16.08.09 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაბ.თარიღი: 15.12.70<br><br>დაბ.ადგილი: ალ - მოჰამედია, ტუნისი (Al-Mohamedia, Tunisia)<br><br>ეროვნული მიკუთვნებულობა: ტუნისელი | | | | 23.12.10) | |
| 157 | სახელები:<br><br>1. სამირი (SAMIR)<br><br>2. აბდ ელ ლატიფი (ABD EL LATIF)<br><br>3. ელ საიედი (EL SAYED)<br><br>4. კიშკი (KISHK)<br><br>დაბ.თარიღი: 14.05.55<br><br>დაბ.ადგილი: გარბია, ეგვიპტე (Gharbia, Egypt )<br><br>ეროვნული მიკუთვნებულობა:<br><br>ეგვიპტელი | სამირ აბდელლატიფ ელ საიედ კეშკი (Samir Abdellatif el Sayed Keshk). | პასპორტის მონაცემები:<br><br>პირადი ნომერი: | | 03.03.02<br><br>(ცვლილებები<br><br>26.11.04<br><br>07.06.07<br><br>16.05.11) | 2003 წლის 2 ივლისს დეპორტირებული იქნა იტალიიდან ეგვიპტეში. |
| 70 | სახელები:<br><br>1. ალ - აზარი (AL-AZHAR) | ლაზარ ბენ მოჰამმედ ტილი (Lazar Ben Mohammed Tili). | პასპორტის მონაცემები:<br><br>ტუნისის პასპორტი №M351140; მოქმედების ვადა: 16.06.05 | კარლო პორტას ქუჩა 6. 97, ლეგნანო, იტალია (Via Carlo Porta n. 97, Legnano, Italy) | 03.09.02<br><br>(ცვლილებები | იტალიის ფისკალური კოდი: TLLLHR69C26Z35; |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. ბენ მოჰამედი (BEN MOHAMMED) | | | | 20.12.05 | 2006 წლის 6 სექტემბერს ექსტრადირებული იქნა საფრანგეთიდან იტალიაში. |
| | 3. ბენ ელ-აბედი (BEN EL-ABED) | | პირადი ნომერი: | | 31.07.06 | |
| | 4. ალ-ტუილი (AL-TUILI) | | | | 07.06.07 | 2007 წლის 15 იანვარს გათავისუფლებული იქნა იტალიის ციხიდან. |
| | | | | | 28.07.08 | |
| | დაბ.თარიღი: 26.03.69 | | | | 23.12.10) | ტუნისში დაუსწრებლად გამოტანილი იქნა განაჩენი 20 წლით თავისუფლების აღკვეთის შესახებ. |
| | დაბ.ადგილი: ფერიანა, ალ-კასრინი, ტუნისი (Feriana, Al-Kasrain, Tunisie) | | | | | |
| | ეროვნული კუთვნილება: ტუნისელი | | | | | დედა - ესაიდა ბინტ სალიჰ ალ-ტილი (Essayda Bint Salih Al-Tili). |
| 58 | სახელი: | ა) ჯენდუბი ფაუზი (Jendoubi Faouzi) | პასპორტის მონაცემები: | | 25.06.03 | დედა - უმ ჰანი ალ-ტუჯანი (Um Hani al-Tujani). |
| | 1. ფაუზი (FAOUZI) | დაბ. თარიღი: 30.01.66 | ტუნისის პასპორტი №K459698 გაცემის თარიღი: 06.03.99 მოქმედების ვადა: 05.03.04 | | (ცვლილებები) | |
| | 2. ბენ მოჰამედი (BEN MOHAMED) | დაბ. ადგილი: მაროკო (Morocco) | | | 20.12.05 | არ დაიშვება შენგენის ტერიტორიაზე. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3. ბენ აჰმედი (BEN AHMED)<br><br>4. ალ-ჯენდუბი (AL-JENDOUBI)<br><br>დაბ.თარიღი: 30.01.66<br><br>დაბ.ადგილი: ტუნისი, ტუნისი (Tunis, Tunisia)<br><br>ეროვნული კუთვნილება: ტუნისელი | | დ) საიდი (Said);<br><br>ე) სამირი (Samir). | პირადი ნომერი: | | 31.07.06<br><br>17.10.07<br><br>16.05.11) | იტალიის სასამართლო ორგანოების მიერ გამოცემული [illegible] 2002 წლის ივნისიდან. |
| 184 | სახელები:<br><br>1. აჰმედი (AHMED)<br><br>2. ჰოსნი (HOSNI)<br><br>3. რარბო (RARRBO)<br><br>დაბ.თარიღი: 12.09.74<br><br>დაბ.ადგილი: ბოლოღინი, ალჟირი (Bologhine. Algeria)<br><br>ეროვნული კუთვნილება: | 4 | ა) რარბო აბდალაჰი (Rarrbo Abdallah);<br><br>ბ) რარბო აბდულაჰი (Rarrbo Abdullah)<br><br>გ) რარბო აჰმედ ჰოსნი (Rarrbo Ahmed Hosni)<br><br>დაბ.თარიღი: 12.09.74<br><br>დაბ. ადგილი: საფრანგეთი | პასპორტის მონაცემები:<br><br>პირადი ნომერი: | ალჟირი (Algeria) | 25.06.03<br><br>(ცვლილებები<br><br>17.10.07<br><br>07.04.08<br><br>21.10.10) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ალჟირელი | | | | | |
| 76 | სახელები:<br><br>1. ნაჯიბი (NAJIB)<br><br>2. ბენ მოჰამედი (BEN MOHAMED)<br><br>3. ბენ სალემი (BEN SALEM)<br><br>4. ალ-ვაზი (AL-WAZ)<br><br>დაბ.თარიღი: 12.04.60<br><br>დაბ.ადგილი: ალ ჰაკა'იმაჰ, მაჰდია, ტუნისი (Al Haka'imah, Govemorate of Mahdia, Tunisia)<br><br>ეროვნება/მოქალაქეობა:<br>ტუნისელი | ა) უაზ ნაჯიბი (Ouaz Najib);<br><br>ბ) უაზ ნაგიბი (Ouaz Nagib). | პასპორტის მონაცემები:<br><br>ტუნისის პასპორტი №K815205<br>გაცემის თარიღი: 17.09.94;<br><br>მოქმედების ვადა: 16.09.99<br><br>პირადი ნომერი: | ტოვაგლიეს ქ. 26, ბოლონია, იტალია (Via Tovaglie Number 26, Bologna, Italy) | 25.06.03<br><br>(ცვლილებებ ი<br><br>20.12.05<br><br>17.10.07<br><br>16.09.08<br><br>16.05.11) | დედა - საიდა ამირი (Saidah Amir).<br><br>არ დაიშვება შენგენის ტერიტორიაზე. |
| 225 | სახელები:<br><br>1. აბდულ რაჰიმ (ABDUL RAHIM) | ა) 'აბდულ-რაჰიმ ჰამად ალ-ტალჰი ('Abdul-Rahim Hammad al-Talhi);<br><br>2 ბ) აბდ' ალ-რაჰიმ ჰამად ალ-ტაჰი (Abd' Al-Rahim Hamad al-Tahi);<br><br>3 გ) აბდულრიმ ჰამად ა | პასპორტის მონაცემები:<br><br>საუდის არაბეთის პასპორტი:<br><br>№F275043<br><br>გაცემის თარიღი: | ბურაიდა, საუდის არაბეთი (Buraydah, Saudi Arabia) | 09.10.07<br><br>(ცვლილებებ ი<br><br>20.02.08<br><br>15.12.11 | მონაწილეობს Abu Sayyaf Group-ის ფინანსური, იარაღით და სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფაში. |